



MES 3 23 0001564737



16/11/2023

**საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს
სხდომის ოქმი**

ქ. თბილისი

სხდომის თარიღი: 03. 11. 2023

სხდომის დაწყების დრო: 14:00 სთ

სხდომის დასრულების დრო: 16:15 სთ

საბჭოს თავმჯდომარე: გოდერძი ბუჩაშვილი (I საკითხი)

სხდომის თავმჯდომარე: ნათია ზედგინიძე - ჯიშკარიანი (II, III, IV, V საკითხი)

საბჭოს მდივანი: რატი რატიანი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ (შემდგომში-აკრედიტაციის დებულება) 27² მუხლის მე-13 პუნქტის საფუძველზე საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით.

საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის (შემდგომში საბჭო) სხდომაზე დამსწრე წევრები:

1. **გოდერძი ბუჩაშვილი** - შპს „საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ-ის“ ადმინისტრაციული მიმართულებით ვიცე-რექტორი - **საბჭოს თავმჯდომარე;**
2. **ნათია ზედგინიძე-ჯიშკარიანი** - სსიპ ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტის მენეჯმენტის სკოლის ხელმძღვანელი - **საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;**
3. **რატი რატიანი** - შპს „გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის“ საჯარო მმართველობისა და პოლიტიკის სკოლის დოქტორანტი - **საბჭოს მდივანი;**
4. **ირინე ებრალიძე** - სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მუსიკის ცენტრის ჯაზის ხელოვნების მიმართულების ხელმძღვანელი, ასოცირებული პროფესორი;
5. **ნინო ლაღანიძე** - სსიპ - თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, პროფესორი;
6. **მარინე მაისურაძე** - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტის დეპარტამენტის უფროსი, პროფესორი;
7. **ერმილე მესხია** - სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი
8. **ლევან ნიკოლეიშვილი** - სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის ეროვნული თავდაცვის აკადემიის მაგისტრატურის უსაფრთხოების კვლევების მიმართულების პროფესორი;
9. **მარინა ქავთარაძე** - სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის მუსიკის ისტორიის მიმართულების ხელმძღვანელი, პროფესორი

10. ქეთევან ქუთათელაძე - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ენერგეტიკის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, პროფესორი;
11. ლაშა ჩხარტიშვილი - სსიპ - საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი;
12. მამუკა ხუსკივაძე - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ტურიზმის სკოლის დირექტორის მოადგილე, ასოცირებული პროფესორი;
13. გურანდა ჭელიძე - შპს კავკასიის უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა სკოლის აფილირებული პროფესორი;
14. ნინო ბაქრაძე - სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, კამერული ანსამბლის და კვარტეტის მიმართულების ხელმძღვანელი, ასოცირებული პროფესორი;
15. ნინო ჭალაგანიძე - შპს „კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის“ მულტიმედია ცენტრის ხელმძღვანელი, კანცლერის მრჩეველი, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის მიმართულების ასოცირებული პროფესორი;
16. ხათუნა თოდაძე - სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ვიცე-რექტორი აკადემიური მიმართულებით, ნარკოლოგიის დეპარტამენტის უფროსი;
17. ქეთევან ზურაშვილი - სსიპ - ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ხარისხის განვითარების სამმართველოს მთავარი სპეციალისტი.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები

სახელი, გვარი	სტატუსი
ლალი ოდიშვილი	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი
თამთა მოხევიშვილი	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი
თამთა ანთიძე	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი

საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები

N	სახელი, გვარი	საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელება	სტატუსი	საკითხი
1	ყარამან ქუთათელაძე	სსიპ - თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია	რექტორი	II
2	თამარ ხუნდაძე		რესტავრაციის, ხელოვნების ისტორიისა და თეორიის ფაკულტეტის დეკანი	II
3	ანა კლდიაშვილი		რესტავრაციის, ხელოვნების ისტორიისა და თეორიის ფაკულტეტის ხარისხის	II

			უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი	
4	ვახტანგ ლეჟავა	შპს თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტი	რექტორი	III
5	ნათია სამუშია		პრორექტორი პროგრამების განვითარების საკითხებში	III
6	მარინა ქარჩავა		პრორექტორი სასწავლო პროცესის მართვის საკითხებში	III
7	ანკა თაბუკაშვილი		ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი	III
8	მარიამ მოქია		ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი	III
9	თამუნა გეგეშიძე		აკადემიური პერსონალის პროფესიული განვითარების მენეჯერი	III
10	შაკო თავაძე		სტუდენტების დეკანი	III
11	თეა ოდიშვილი		ადამიანური რესურსების მართვის მენეჯერი	III
12	მარიამ ჯაფარიძე		საერთაშორისო ურთიერთობების მენეჯერი	III
13	ირინა პოპიაშვილი		ვიზუალური ხელოვნების, არქიტექტურისა და დიზაინის სკოლის დეკანი	III
14	მარიამ ზალდასტანიშვილი	ვიზუალური კომუნიკაციის საბაკალავრო პროგრამის კურატორი	III	
15	ნიკოლოზ გეგეჭკორი	ვიზუალური ხელოვნების, არქიტექტურისა და დიზაინის სკოლის კოორდინატორი	III	
16	დავით წასიძე		ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი	IV
17	ნიკა გიგაური			IV

			ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი	
18	გიორგი ტომარაძე		ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი	IV
19	ნინო ივანიშვილი		ჟურნალისტიკისა და მედია მენეჯმენტის კავკასიური სკოლის დეკანი	IV
20	ნინო ლიპარტელიანი	ა(ა)იპ ჯიპა - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი	ვიზუალური კომუნიკაციის (რეკლამა და საკომუნიკაციო დიზაინი) საბაკალავრო პროგრამის ხელმძღვანელი	IV
21	ნინო გედევანიშვილი		ვიზუალური კომუნიკაციის (რეკლამა და საკომუნიკაციო დიზაინი) საბაკალავრო პროგრამის ხელმძღვანელი	IV
22	გიორგი შუბლაძე		ვიზუალური კომუნიკაციის (რეკლამა და საკომუნიკაციო დიზაინი) საბაკალავრო პროგრამის კოორდინატორი	IV
23	თამთა თვალავაძე		ჟურნალისტიკისა და მედია მენეჯმენტის კავკასიური სკოლის ხარისხის მართვის მენეჯერი	IV
24	არჩილ ჯანგირაშვილი		ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი	I
25	თინათინ ღუდუშაური	შპს საქართველოს უნივერსიტეტი	ხელოვნებისა და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა სკოლის დირექტორი	I

აკრედიტაციის ექსპერტები

N	სახელი, გვარი	ინფორმაცია ელექტრონულ საშუალებით მონაწილეობის შესახებ	საკითხი
1	თამთა თურმანიძე	(ჩაერთო „ზუმით“)	II
2	ლევან სილაგაძე	(ჩაერთო „ზუმით“)	II

3	გიგა ხოსიტაშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	II, IV
4	კოსტას მანტზალოსი	(ჩაერთო „ზუმით“)	III, IV
5	ლევან სილაგაძე	(ჩაერთო „ზუმით“)	III
6	ნინო სანადირაძე	(ჩაერთო „ზუმით“)	III
7	ნინო პატარაია	(ჩაერთო „ზუმით“)	III
8	ვაჟა კელიხაშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	III
9	ხათუნა ხაბულიანი	(ჩაერთო „ზუმით“)	IV
10	ანა წერეთელი	(ჩაერთო „ზუმით“)	IV
11	ნინო ჯავახიშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	IV
12	ნინო ხაბეიშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	I
13	ვახტანგ კასრელიშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	I

აკრედიტაციის დებულების 27²-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, სხდომას უხელმძღვანელა საბჭოს თავმჯდომარემ გოდერძი ბუჩაშვილმა (I საკითხის განხილვის პროცესში).

საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ აკრედიტაციის დებულების 27²-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან მას ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა აკრედიტაციის დებულების 27⁵-ე მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

საბჭოს სხდომა დაიწყო: 14:00 საათზე.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

1. სსიპ - თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის "ხელოვნების ისტორია და თეორიის" საბაკალავრო, "ქართული ხელოვნების ისტორიის (ძველი და თანამედროვე ხელოვნება)" სამაგისტრო და "სახელოვნებათმცოდნეო კვლევების (ქართული ხელოვნების ისტორია)" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის განხილვა;
2. შპს თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის „ვიზუალური კომუნიკაციის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
3. ა(ა)იპ ჯიპა - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის ვიზუალური კომუნიკაციის (რეკლამა და საკომუნიკაციო დიზაინი) საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
4. შპს საქართველოს უნივერსიტეტის “არქიტექტურისა და ინტერიერის დიზაინის“ (მოდულიზირების შედეგად სახელწოდება - "არქიტექტურა") საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული არაგეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა;

შუამდგომლობა დღის წესრიგის ცვლილებასთან დაკავშირებით

- კი

უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა სპეციალისტმა თამთა მოხევიშვილმა აკრედიტაციის საბჭოს სხდომაზე შუამდგომლობა დააყენა დღის წესრიგის ცვლილებასთან დაკავშირებით კერძოდ, შპს საქართველოს უნივერსიტეტის “არქიტექტურისა და ინტერიერის დიზაინის“ (მოდულიზირების შედეგად სახელწოდება - "არქიტექტურა") საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული არაგეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა აკრედიტაციის საბჭოს განეხილა პირველ საკითხად იმიტომ, რომ საბჭოს სხდომის თავმჯდომარეს გოდერძი ბუჩაშვილს უწევდა სხდომის დატოვება, ხოლო საბჭოს სხდომის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელს ნათია ზედგენიძე - ჯიშკარიანს აღნიშნული პროგრამის მიმართ აცილება ჰქონდა. შესაბამისად,

აკრედიტაციის პროცესის დაუბრკოლებლად ჩატარების მიზნით, საბჭოს სხდომაზე დამსწრე წევრებმა აღნიშნული შუამდგომლობა დააკმაყოფილეს.

დამტკიცებული დღის წესრიგი:

1. შპს საქართველოს უნივერსიტეტის “არქიტექტურისა და ინტერიერის დიზაინის“ (მოდულიზირების შედეგად სახელწოდება - "არქიტექტურა") საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული არაგეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა;
2. სსიპ - თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის "ხელოვნების ისტორია და თეორიის" საბაკალავრო, "ქართული ხელოვნების ისტორიის (ძველი და თანამედროვე ხელოვნება)" სამაგისტრო და "სახელოვნებათმცოდნეო კვლევების (ქართული ხელოვნების ისტორია)" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის განხილვა;
3. შპს თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის „ვიზუალური კომუნიკაციის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
4. ა(ა)იპ ჯიპა - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის ვიზუალური კომუნიკაციის (რეკლამა და საკომუნიკაციო დიზაინი) საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

1. პირველი საკითხი: შპს საქართველოს უნივერსიტეტის “არქიტექტურისა და ინტერიერის დიზაინის“ (მოდულიზირების შედეგად სახელწოდება - "არქიტექტურა") საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული არაგეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა;

№	ინფორმაციასაგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	არქიტექტურა (სახელწოდება მოდიფიცირებამდე „არქიტექტურა და ინტერიერის დიზაინი“)
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	№39, 07.01.2026
5	საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	„არქიტექტურა და ინტერიერის დიზაინი“
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
7	დაშვების წინაპირობები	პორტფოლიო და/ან გასაუბრების გავლა სპეციალობაში
8	კვალიფიკაციის დონე	მეექვსე
9	კვალიფიკაციის დასახელება	არქიტექტურის ბაკალავრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	არქიტექტურა და ქალაქდაგეგმარება, 0731
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
14	განხორციელების ადგილი	კოსტავას 77ა, 0171, თბილისი, საქართველო
15		

მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	
---	--

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

✓ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

✓ კი

თვითაცილება განაცხადა ნათია ზედგინიძე - ჯიშკარიანმა.

თვითაცილების საფუძველს წარმოადგენდა შრომითი ურთიერთობა დაწესებულებასთან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ) აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

პირველი საკითხის ზეპირი მოსმენა

ექსპერტების პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.

ექსპერტი ნინო ხაბეიშვილი მიესალმა აკრედიტაციის საბჭოს წევრებს და აღნიშნა, რომ შპს საქართველოს უნივერსიტეტის “არქიტექტურისა და ინტერიერის დიზაინის“ (მოდულიზირების შედეგად სახელწოდება - "არქიტექტურა") საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე არაგეგმიური მონიტორინგის ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფის მიერ წარმოდგენილი დასკვნა აკრედიტაციის საბჭომ 2023 წლის 11 ივნისს განიხილა, რომელმაც სრულად გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში მოცემული პროგრამის შეფასება და რეკომენდაციები. მისი თქმით, დაწესებულებას რეკომენდაციების შესასრულებლად განესაზღვრა 60-დღიანი ვადა. უნივერსიტეტმა განსაზღვრულ ვადაში წარმოადგინა ყველა საჭირო დოკუმენტაცია. აღნიშნული დოკუმენტების შესწავლამ ცხადყო, რომ დაწესებულებამ გაიზიარა და შეასრულა ყველა რეკომენდაცია. მან ასევე აღნიშნა, რომ ინსტიტუციამ რჩევების ნაწილიც გაითვალისწინა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

დაწესებულების წარმომადგენელი, თინათინ ღუდუშაური მიესალმა აკრედიტაციის საბჭოს წევრებს და მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს გაწეული შრომისთვის. მან განაცხადა, რომ უნივერსიტეტმა ყველა რეკომენდაცია შეასრულა.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება

დაწყების დრო: 14:09

დასრულების დრო: 14:11

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:

შპს საქართველოს უნივერსიტეტის “არქიტექტურისა და ინტერიერის დიზაინის“ (მოდულიზირების შედეგად სახელწოდება - "არქიტექტურა") საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე დაწყებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:

გადაწყვეტილება:

აკრედიტაციის დებულების 27² მუხლის პირველი პუნქტის, 30-ე მუხლის მე-3 პუნქტის, 31-ე მუხლის 25-ე პუნქტის „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ“ სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის No223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შეწყდეს შპს საქართველოს უნივერსიტეტის “არქიტექტურის” (მოდიფიცირებამდე “არქიტექტურისა და ინტერიერის დიზაინი”) საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე არაგეგმიურ მონიტორინგთან დაკავშირებით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოება.

აბჭოს სხდმა დატოვა საბჭოს თავმჯდომარემ გოდერძი ბუჩაშვილმა, აკრედიტაციის დებულების 27²-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, სხდომას უხელმძღვანელა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ, ნათია ზედგინიძე-ჯიშკარიანმა.

2. მეორე საკითხი: სსიპ - თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის "ხელოვნების ისტორია და თეორიის" საბაკალავრო, "ქართული ხელოვნების ისტორიის (ძველი და თანამედროვე ხელოვნება)" სამაგისტრო და "სახელოვნებათმცოდნეო კვლევების (ქართული ხელოვნების ისტორია)" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის განხილვა;

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ხელოვნების ისტორია და თეორია
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	21/10/2011, N158
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
7	დაშვების წინაპირობები	
8	კვალიფიკაციის დონე	მეექვსე
9	კვალიფიკაციის დასახელება	ჰუმანიტარული მეცნიერებების ბაკალავრი ხელოვნების ისტორიისა და თეორიაში
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0213 სახვითი ხელოვნება
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
14	განხორციელების ადგილი	

		გრიბოედოვის ქ. N22; თბილისი; 0108, საქართველო
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ქართული ხელოვნების ისტორია (ძველი და თანამედროვე ხელოვნება)
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	
3	სტატუსი	ახალი
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	
6	უმაღლესი განათლების საფეხური	მაგისტრატურა
7	დაშვების წინაპირობები	
8	კვალიფიკაციის დონე	მეშვიდე
9	კვალიფიკაციის დასახელება	ჰუმანიტარული მეცნიერებების მაგისტრი ხელოვნების ისტორიასა და თეორიაში
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0213 სახვითი ხელოვნება
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	120
14	განხორციელების ადგილი	გრიბოედოვის ქ. N22; თბილისი; 0108, საქართველო
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	სახელოვნებათმცოდნეო კვლევები (ქართული ხელოვნების ისტორია)
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	
3	სტატუსი	ახალი
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	

6	უმაღლესი განათლების საფეხური	დოქტორანტურა
7	დაშვების წინაპირობები	
8	კვალიფიკაციის დონე	მერვე
9	კვალიფიკაციის დასახელება	ხელოვნების ისტორიისა და თეორიის დოქტორი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0213 სახვითი ხელოვნება
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	50
14	განხორციელების ადგილი	გრიბოედოვის ქ. N22; თბილისი; 0108, საქართველო
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

✓ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

✓ კი

თვითაცილება განაცხადა ნინო ღაღანიძემ და მარინა მაისურაძემ.

თვითაცილების საფუძველს წარმოადგენდა შრომითი ურთიერთობა დაწესებულებასთან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ) აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მეორე საკითხის ზეპირი მოსმენა

ექსპერტების პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.

უცხოელი ექსპერტი სარა ბენეტი აკრედიტაციის საბჭოს სხდომას არ ესწრებოდა. მათ მოსაზრება საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ, წერილის სახით, წარმოადგინა სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში, რომელიც საბჭოს წევრებს წარუდგინა უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორმა თორნიკე ბაქაქურმა. "ექსპერტთა ჯგუფმა ორი ძალზედ ინფორმატიული დღე (26/27 ივლისი) გაატარა სსიპ - აპოლონ ქუთათელაძის სახელობის თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის ხელოვნებათმცოდნეობის საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების კლასტერის შესაფასებლად. დეტალური თვითშეფასების ანგარიში, დოკუმენტაცია და ღია და გულწრფელი ინტერვიუები უზრუნველყოფდა კარგ შესაძლებლობას შეფასების შეუფერხებლად წარმართვისთვის, რისთვისაც თავმჯდომარე მადლობას უხდის ყველას აკადემიაში.

როგორც საბჭოს წევრებმა ალბათ უკვე იციან დასკვნის წაკითხვის შემდგომ, შეფასების შედეგი არის ძალზედ პოზიტიური აკადემიისათვის, პროგრამების კუთხით სიტუაცია და ატმოსფერო შესაძლოა ჯანსაღად შევადგათ; ასე რომ მხოლოდ 1-ლი სტანდარტი არ არის სრულ შესაბამისობაში. მის ქვეშ 4 რეკომენდაციაა გაცემული.

პირველი ორი რეკომენდაცია (1.1.2 და 1.1.4) ეხება სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების მიზნებს. ვინაიდან მიზნები ყველა საგანმანათლებლო პროგრამის ერთგვარი ხერხემალია, ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით ისინი ძალიან მოკლედ იყო გადმოცემული და საკმარისად მნიშვნელოვანი ადგილი არ ეკავა პროგრამულ დოკუმენტებში. ექსპერტებს სურთ დარწმუნდნენ, რომ აკრედიტაციის ამ ეტაპზე, ორივე პროგრამის ამბიციები შესაფერისია აკრედიტაციის პერიოდის ხანგრძლივობისთვის, და ზუსტად და ნათლად მიაწოდოს ინფორმაცია პროგრამების მახასიათებლების შესახებ ყველა შიდა და გარე დაინტერესებულ მხარეს, და ზოგადად ფართო აუდიტორიას. შემდეგ ეს მიზნები რა თქმა უნდა პირდაპირ უკავშირდება პროგრამის სწავლის შედეგებს და საბოლოოდ საგნების/მოდულების სწავლის შედეგებს.

ექსპერტთა ჯგუფი ფიქრობს, რომ აკრედიტაცია ნამდვილად იძლევა ოპტიმალურ შესაძლებლობას პროგრამის მიზნების უფრო გამოიკვეთოს და განსაკუთრებით 2 მათგანი აიწიოს წამყვან პოზიციაზე, ესაა - ინტერნაციონალიზაცია და ინტერდისციპლინურობა. ექსპერტთა ჯგუფს ეჭვი არ ეპარებოდა, რომ ინტერნაციონალიზაციაც და ინტერდისციპლინურობაც ცენტრალურია თითოეული პროგრამისთვის და მიესალმება აკადემიის მიერ გაცხადებულ ვალდებულებას, ხელი შეუწყონ დოქტორანტებს საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალებში სტატიის გამოქვეყნების ხარჯების დაფინანსებით ან საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებში/სიმპოზიუმებში მონაწილეობის ხარჯებით.

შემდგომი რეკომენდაცია 1 სტანდარტში ჩაიწერა საბაკალავრო პროგრამის (1.4.1) მიმართ და ჩამოყალიბდა შემდეგნაირად, რომ დაწესებულებამ უნდა განიხილოს აკადემიური ესეების ინტეგრირება ბაკალავრიატის ზოგიერთ სილაბუსში და შეაფასოს ეს ესეები გამჭვირვალე კრიტერიუმების გამოყენებით. მათ შორის როდესაც კონკრეტულად აკადემიური ნაწერი ფასდება, ეს უნდა მოიცავდეს სტუდენტის მიერ გამოყენებული ციტირების სტილის დაცვას, შეფასებას და ადეკვატურობას.

მოიცავდეს სტუდენტის მიერ გამოყენებული ცნობების გამოყენების სტილისა და ადეკვატურობის შეფასებას.

სტანდარტ 1-ის (1.5.1) საბოლოო რეკომენდაცია არის კლასტერისთვის და ეხება პროგრამის ლექტორებს, რომ კრიტიკულად განიხილონ სავალდებულო ლიტერატურა თავიანთ სილაბუსებში და დარწმუნდნენ, რომ ეს ლიტერატურა ინარჩუნებს რელევანტურობას. ექსპერტთა ჯგუფმა მოიწონა ლიტერატურის ქართულად თარგმანის მიმდინარე პროცესი, მაგრამ ხაზს უსვამს, რომ ეს უნდა გაგრძელდეს სავალდებულო ლიტერატურის საერთო სპექტრის კრიტიკულად გადახედვასთან ერთად, რათა უზრუნველყოფილი იყოს განახლებული მასალების ხელმისაწვდომობა, სტუდენტთა სასწავლო პროცესის გაუმჯობესების მიზნით.

ორი საბოლოო რეკომენდაცია (4.5.1 და 4.5.2) გაკეთდა მე-4 სტანდარტში ფინანსურ მდგრადობასა და გაუთვალისწინებელ სიტუაციებთან დაკავშირებით, რომლებიც მართალია პროგრამულ დონეზეა განხილული, თუმცა პრობლემის კონტექსტი ინსტიტუციურია. ექსპერტთა ჯგუფი ამავდროულად ხედავს ბიუჯეტის მართვისა და საკმარისი და განახლებული რესურსების ქონის გამოწვევებს და მათ არგუმენტირებულ პოზიციაში, უნივერსიტეტიც ძირითადად თანხმდება ამ საკითხზე. შემოსავლის წყაროების დივერსიფიკაციის მიღწევას დრო და ენერჯია სჭირდება, მაგრამ გრძელვადიან პერსპექტივაში ბევრი უპირატესობა მოაქვს, განსაკუთრებით შესაძლებლობათა განვითარების კვლევითი გრანტებით. ექსპერტთა ჯგუფი წარმატებას უსურვებს უნივერსიტეტს ამ საქმეში და სამომავლო აქტივობებში.

თავმჯდომარე ბოდიშს იხდის, რომ იგი დღეს ვერ ესწრება ონლაინ შეხვედრას და წინასწარ მადლობას უხდის ჯგუფის წევრებს შეკითხვებზე პასუხისათვის, განხილვის პროცესში შეტანილი მათი კონტრიბუციისთვის. " დოქტორი სარა ბენეტი

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

დაწესებულების წარმომადგენელი მიესალმა აკრედიტაციის საბჭოს წევრებს და მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს გაწეული შრომისთვის. მან განაცხადა, რომ პროგრამის მიმართ გაცემული ყველა რეკომენდაცია გაზიარებულია. პროგრამების მიზნებთან დაკავშირებით გაცემულ რეკომენდაციასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამაში ინტერნაციონალიზაცია და ინტერდისციპლინურობა გათვალისწინებულია, თუმცა საჭიროა უფრო დეტალურად იქნას გაწერილი. მისი თქმით, აღნიშნულ რეკომენდაციას უნივერსიტეტი იზიარებს. ლიტერატურის კრიტიკულად გადახედვასთან დაკავშირებით გაცემულ რეკომენდაციაზე განაცხადა, რომ მათ დაიწყეს მუშაობა აღნიშნული მიმართულებით და ინგლისურენოვანი სახელმძღვანელოს 4 ტომი უკვე გადათარგმნილია. მან ხაზი გაუსვა იმას, რომ ეტაპობრივად მოხდება ახალი ლიტერატურის თარგმნა. რიდერების დამატება წლის ბოლომდე დასრულდება. დაწესებულება პერიოდულად იღებს საჩუქრად წიგნებს. მაგალითად, ლონდონის ნაციონალური ბიბლიოთეკიდან უნივერსიტეტმა მიიღო ინგლისურენოვანი წიგნები.

დაწესებულების წარმომადგენელმა შემდეგ რეკომენდაციასთან დაკავშირებით: რეკომენდებულია აკადემიური ესეების ზოგიერთ სილაბუსში შეტანა და გამჭვირვალე კრიტერიუმების გამოყენება, აღნიშნა, რომ "ხელოვნების ისტორია და თეორიის" საბაკალავრო პროგრამაზე არსებობს საგანი „ნაშრომის შექმნის პრინციპები“, რომლის სილაბუსში ყველა ეს საკითხი შეტანილია და გაწერილია კრიტერიუმები ლიტერატურის დამუშავების, გამოყენებული წყაროების მითითების, სტილისა და ადეკვატურობის შეფასებისთვის. მან ასევე აღნიშნა, რომ გაითვალისწინებენ ექსპერტთა მიერ გაცემულ რეკომენდაციას და სხვა საგნების სილაბუსში დამატება აკადემიური ესეები და შეფასების გამჭვირვალე კრიტერიუმები.

"სახელოვნებათმცოდნეო კვლევების (ქართული ხელოვნების ისტორია)" სადოქტორო პროგრამაზე ბიუჯეტთან გაცემულ რეკომენდაციასთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ უნივერსიტეტი განსაკუთრებით ხელს უწყობს დოქტორანტებს სასწავლო საფასურის გადასახადის გადახდაში. თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიამ შეიმუშავა ისეთი რეგულაცია, რომლის თანახმადაც დოქტორანტს მოუწევს მხოლოდ სასწავლო კომპონენტის საფასურის გადახდა. სტატიის დაბეჭდვისა და გამოქვეყნების და შიდა კონკურსის კვლევაში მონაწილეობის საფასურს დაფარავს უნივერსიტეტი. 2021 – 2022 წლებში 8 მაგისტრანტმა და 4 დოქტორანტმა მოიპოვა სამეცნიერო გრანტი რუსთაველის ფონდიდან კვლევების ჩასატარებლად. გარდა ამისა, დივერსიფიკაციის ერთ-ერთი საუკეთესო საშუალება არის რესტავრაციის პროექტებში ჩართვა ხელოვნებათმცოდნეების. რესტავრაციის მიმართულებას აქვს უცხოური პროექტები მოპოვებული. აღნიშნული პროექტების ფარგლებში ხდება ქართულ ძეგლებისა და გამოყენებითი ხელოვნების ნიმუშების რესტავრაცია. მან ხაზი გაუსვა იმას, რომ 6000 ნიმუშია ეროვნული მუზეუმებიდან ჩამოტანილი და აღნიშნულ ფაკულტეტზე გაკეთებული. ყველა ამ პროექტში ჩართული არის ხელოვნებათმცოდნე. სახელოვნებათმცოდნეო კვლევა რესტავრაციის აუცილებელი წინაპირობაა. შესაბამისად, სამივე პროგრამის სტუდენტები ჩართული არიან აღნიშნულ პროცესში ლექტორებთან ერთად, რაც პროგრამების დივერსიფიკაციის ერთ-ერთი კარგი საშუალებაა. მან აღნიშნა, რომ უნივერსიტეტი მუშაობს ისეთი ბიუჯეტის შექმნაზე, რომელშიც გათვალისწინებული იქნება არა კონკურსის სახით, არამედ პრიორიტეტული მიმართულებით სტუდენტის დაფინანსება.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

საბჭოს წევრმა ერმილე მესხიამ კითხვა დაუსვა ექსპერტებს. მისი თქმით, პროგრამის მიზნები ძალიან მოკლე შინაარსის იყო. მას აინტერესებდა, აქვს თუ არა მნიშვნელობა ტექსტის სიდიდეს მიზანში. ექსპერტმა გიგა ხოსიტაშვილმა უპასუხა, რომ დასკვნაში მოცემული მიზნების ძალიან მოკლე შინაარსი შეიძლება არასწორი თარგმანის შედეგი იყოს. მან ხაზი გაუსვა იმას, რომ დასკვნა შედგენილი იყო ინგლისურად და შემდეგ მოხდა მისი თარგმნა ქართულ ენაზე. დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ბაკალავრიატში მიზნები პუნქტობრივად იყო გაწერილი, ხოლო მაგისტრატურასა და დოქტორანტურაში ტექსტის სახით იყო მოცემული. ეს კითხვა არ დაისმებოდა თუ ინტერნაციონალიზაცია უფრო ფართოდ იქნებოდა ამ უკანასკნელი საფეხურის პროგრამებში. შესაბამისად, დაწესებულება იზიარებს ექსპერტთა მიერ გაცემულ რეკომენდაციას, რომ მაგისტრატურასა და დოქტორანტურის პროგრამებში მიზნები გაიწეროს პუნქტობრივად.

სხდომის თავმჯდომარემ ნათია ზედგინიძე-ჯიშკარიანმა ექსპერტებს მიმართა, რომ 2.2 ქვესტანდარტში გაცემულ რჩევასთან (სტუდენტების პრაქტიკული და სამეცნიერო უნარების განვითარებისთვის მიზანშეწონილი იქნება სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ჩართულობით ერთობლივი კონფერენციების უფრო ხშირად ჩატარება.) დაკავშირებით მეტი ინფორმაცია მოეწოდებინათ აკრედიტაციის საბჭოს წევრებისათვის. ექსპერტმა გიგა ხოსიტაშვილმა აღნიშნა, რომ დაწესებულებაში ვიზიტის ფარგლებში ექსპერტები შეხვდნენ სტუდენტებს და კურსდამთავრებულებს. გამოკითხულთა ანალიზის შემდეგ ექსპერტებმა ჩათვალეს, რომ უნივერსიტეტმა უნდა გააძლიეროს სტუდენტთა ჩართულობა აქტივობებში (ინტერდისციპლინური კონფერენციები, პრაქტიკული ღონისძიებები და ა.შ.), რომლის რესურსიც მას გააჩნია.

ხდომის თავმჯდომარემ, ნათია ზედგინიძე-ჯიშკარიანმა აღნიშნა, რომ პროგრამის მიმართ გაიცა შემდეგი რჩევა: „Facebook-ით არ უნდა მოხდეს ელექტრონული რესურსების გაზიარება“. მან ექსპერტებს მიმართა, რომ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით მეტი ინფორმაცია მოეწოდებინათ აკრედიტაციის საბჭოს წევრებისათვის. ექსპერტთა ჯგუფის წევრმა, გიგა ხოსიტაშვილმა განაცხადა, რომ აკადემიამ პანდემიის პირობებში შექმნა „Facebook“ გვერდი, სადაც უზიარებდა სტუდენტებს სასწავლო მასალას. ამჟამად უნივერსიტეტი მუშაობს რეპოზიტორის შექმნის მიმართულებით. ბიბლიოთეკას ექნება საკუთარი გვერდი, სადაც აიტვირთება სასწავლო მასალა. მან ხაზი გაუსვა იმას, „Facebook“-ის გამოყენება არ არის რეკომენდებული სასწავლო მასალის გაზიარებისთვის. გარდა ამისა, ყველა საჭირო სავალდებულო ლიტერატურა ხელმისაწვდომია სტუდენტისთვის.

საბჭოს წევრმა ქეთევან ქუთათელაძემ კითხვა დაუსვა ექსპერტებს. მას აინტერესებდა, შესაძლებელია თუ არა ბიუჯეტთან დაკავშირებული რეკომენდაციების გაერთიანება. გიგა ხოსიტაშვილმა უპასუხა, რომ შესაძლებელია ბიუჯეტთან დაკავშირებული რეკომენდაციების გაერთიანება.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება

დაწყების დრო: 14:35

დასრულების დრო: 14:49

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:

სსიპ - თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის "ხელოვნების ისტორია და თეორია" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი კლასტერის ვადით 1 წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენის ვალდებულებით.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე - 14

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27² მუხლის პირველი პუნქტის, 27⁵ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27⁶ მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ“ სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის "ხელოვნების ისტორია და თეორია" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია 7 წლის ვადით, 1 წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

საბჭომ განსაზღვრა შემდეგი რეკომენდაციები და რჩევები:

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია, დაწესებულებამ შეიტანოს აკადემიური ესეები თავის ზოგიერთ სილაბუსში და ეს ესეები გამჭვირვალე კრიტერიუმების გამოყენებით. შეაფასოს; შეფასება უნდა მოიცავდეს სტუდენტების მიერ გამოყენებული წყაროების მითითების სტილისა და ადეკვატურობის შეფასებას.
- ეკომენდებულია, აკადემიურმა პერსონალმა კრიტიკული თვალთ გადახედოს სილაბუსებში მოცემულ ლიტერატურას, რათა შეავსოს იგი უფრო განახლებული საინფორმაციო რესურსებით და შეამციროს იმ ენაზე წარმოდგენილი პუბლიკაციების რაოდენობა, რომლის კომპეტენცია სტუდენტებს შეიძლება არ ქონდეთ (მაგ. უსული ენა).
- ეკომენდებულია, ბიუჯეტის დაგეგმვა ითვალისწინებდეს გადახარჯვის რისკებს და მის შესაძლო გავლენას პროგრამების ფინანსურ მდგრადობაზე.
- რეკომენდებულია, შემოსავლის წყაროების დივერსიფიკაცია (საერთაშორისო კვლევები და შესაძლებლობების განვითარების გრანტები) და შემოსავლის ამ წყაროების გამოყენება სწავლებისა და სასწავლო რესურსების განახლებაზე მეტი ხარჯების გაწევის მიზნით.

რჩევები:

- სასურველია, რომ ფრაზა „გამოიყენება სამუშაო სფეროში დასაქმებისთვის“ დაემატოს საბაკალავრო პროგრამის მე-5 მიზანს, რათა მეტი აქცენტი გაკეთდეს კურსდამთავრებულთა დასაქმების პერსპექტივაზე;
- სავარაუდოდ, ერთ სემესტრში 3 ECTS მოდულების დიდი რაოდენობა მეტი დატვირთვა სტუდენტებისთვის, ეს საკითხი უნდა განიხილებოდეს მათთან, ამგვარად შემოწმდება, რამდენად უმკლავდებიან სტუდენტები ამ დატვირთვას.
- სტუდენტების პრაქტიკული და სამეცნიერო უნარების განვითარებისთვის მიზანშეწონილი იქნება სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ჩართულობით ერთობლივი კონფერენციების უფრო ხშირად ჩატარება.
- შესაძლოა უფრო ხელსაყრელი იყოს საბოლოო და შუალედურ გამოცდებზე შეფასებებს შორის განსხვავების შეტანა საბოლოო გამოცდის სასარგებლოდ.
- რადგან სტუდენტებს გააჩნიათ მეტი ექსკურსიების და სავლე გასვლების მოლოდინი, მიზანშეწონილია, რომ პროგრამებმა განიხილონ სტუდენტებთან ეს საკითხი და განახორციელოს შესაძლო ცვლილებები.

- მიზანშეწონილია, რომ აკადემიამ თავი აარიდოს ფეისბუქ ჯგუფების გამოყენებას ელექტრონული რესურსების გასაზიარებლად და შეიმუშაოს ბიბლიოთეკის მასალების გავრცელებისა და შეკვეთის უფრო მოქნილი სისტემა.
- სასურველია გარე კოლეგიალური შეფასება განხორციელდეს წინასწარ განსაზღვრული ინტერვალებით და არა მხოლოდ პროგრამის აკრედიტაციის წარდგენის წინ, რათა რჩევებისა და რეკომენდაციების არსებობის შემთხვევაში, შესაძლებელი იყოს მათი განხორციელება.

სხდომის თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:

სსიპ - თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის "ქართული ხელოვნების ისტორიის (ძველი და თანამედროვე ხელოვნება)" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი 7 წლის ვადით 1 წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენის ვალდებულებით.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე - 14

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება: „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27² მუხლის პირველი პუნქტის, 27⁵ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27⁶ მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ“ სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის No223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის "ქართული ხელოვნების ისტორიის (ძველი და თანამედროვე ხელოვნება)" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის მიენიჭოს აკრედიტაცია 7 წლის ვადით, 1 წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

საბჭომ განსაზღვრა შემდეგი რეკომენდაციები და რჩევები:

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია ხელოვნების ისტორიის სამაგისტრო პროგრამის pdf დოკუმენტის ხელახალი შედგენა პროგრამის მიზნების (გვ.4) მკაფიოდ დასახელებული ნუსხით, რათა ისინი მოიცავდეს ინტერნაციონალიზაციასა და ინტერდისციპლინურობას, რაც სამაგისტრო პროგრამის სწავლის შედეგებს შეესაბამება.
- რეკომენდებულია აკადემიურმა პერსონალმა კრიტიკული თვალთვლით გადახედოს სილაბუსებში მოცემულ ლიტერატურას, რათა შეავსოს იგი უფრო განახლებული საინფორმაციო რესურსებით და შეამციროს იმ ენაზე წარმოდგენილი პუბლიკაციების რაოდენობა, რომლის კომპეტენცია სტუდენტებს შეიძლება არ ქონდეთ (მაგ. რუსული).
- რეკომენდებულია ბიუჯეტის დაგეგმვა ითვალისწინებდეს გადახარჯვის რისკებს და მის შესაძლო გავლენას პროგრამების ფინანსურ მდგრადობაზე.
- რეკომენდებულია, შემოსავლის წყაროების დივერსიფიკაცია (საერთაშორისო კვლევები და შესაძლებლობების განვითარების გრანტები) და შემოსავლის ამ წყაროების გამოყენება სწავლებისა და სასწავლო რესურსების განახლებაზე მეტი ხარჯების გაწევის მიზნით.

რჩევები:

- მიზანშეწონილია, რომ კურსდამთავრებულთა დასაქმებაზე აქცენტის გასაკეთებლად, შემდეგი სამაგისტრო პროგრამის მიზანი შეიცვალოს შემდეგნაირად: სამაგისტრო პროგრამის მიზანია მოამზადოს ხელოვნებათმცოდნეები, შუა საუკუნეების და თანამედროვე ქართული ხელოვნების კვალიფიციური მკვლევარები, რომლებიც აცნობიერებენ თავიანთ როლსა და ადგილს მსოფლიო ხელოვნების კონტექსტში და შეძლებენ დასაქმდნენ სამუშაო სფეროში.
- სტუდენტების პრაქტიკული და სამეცნიერო უნარების განვითარებისთვის მიზანშეწონილი იქნება სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ჩართულობით ერთობლივი კონფერენციების უფრო ხშირად ჩატარება.
- შესაძლოა უფრო ხელსაყრელი იყოს საბოლოო და შუალედურ გამოცდებზე შეფასებებს შორის განსხვავების შეტანა საბოლოო გამოცდის სასარგებლოდ.
- რადგან სტუდენტებს გააჩნიათ მეტი ექსკურსიების და სავლეე გასვლების მოლოდინი, მიზანშეწონილია, რომ პროგრამებმა განიხილონ სტუდენტებთან ეს საკითხი და განახორციელოს შესაძლო ცვლილებები.
- მიზანშეწონილია, რომ აკადემიამ თავი აარიდოს ფეისბუქ ჯგუფების გამოყენებას ელექტრონული რესურსების გასაზიარებლად და შეიმუშაოს ბიბლიოთეკის მასალების გავრცელებისა და შეკვეთის უფრო მოქნილი სისტემა.
- სასურველია გარე კოლეგიალური შეფასება განხორციელდეს წინასწარ განსაზღვრული ინტერვალებით და არა მხოლოდ პროგრამის აკრედიტაციის წარდგენის წინ, რათა რჩევებისა და რეკომენდაციების არსებობის შემთხვევაში, შესაძლებელი იყოს მათი განხორციელება.

სხდომის თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: სსიპ - თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის "სახელოვნებათმცოდნეო კვლევების (ქართული ხელოვნების ისტორია)" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი კლასტერის ვადით 1 წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენის ვალდებულებით.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე - 14

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27² მუხლის პირველი პუნქტის, 27⁵ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27⁶ მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ“ სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის "სახელოვნებათმცოდნეო კვლევების (ქართული ხელოვნების ისტორია)" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია 7 წლის ვადით, 1 წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

საბჭომ განსაზღვრა შემდეგი რეკომენდაციები და რჩევები:

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია ხელოვნების ისტორიის სადოქტორო პროგრამის pdf დოკუმენტის 1.1 ნაწილი (გვერდები 4-5) გადაიხედოს, მასში შევიდეს პროგრამის მიზნების მკაფიო ჩამონათვალი, რათა მოიცავდეს ინტერნაციონალიზაციას და ინტერდისციპლინურობას;
- რეკომენდებულია აკადემიურმა პერსონალმა კრიტიკული თვალთ გადახედოს სილაბუსებში მოცემულ ლიტერატურას, რათა შეავსოს იგი უფრო განახლებული საინფორმაციო რესურსებით და შეამციროს იმ ენაზე წარმოდგენილი პუბლიკაციების რაოდენობა, რომლის კომპეტენცია სტუდენტებს შეიძლება არ ქონდეთ (მაგ. რუსული).
- რეკომენდებულია ბიუჯეტის დაგეგმვა ითვალისწინებდეს გადახარჯვის რისკებს და მის შესაძლო გავლენას პროგრამების ფინანსურ მდგრადობაზე.
- რეკომენდებულია, შემოსავლის წყაროების დივერსიფიკაცია (საერთაშორისო კვლევები და შესაძლებლობების განვითარების გრანტები) და შემოსავლის ამ წყაროების გამოყენება სწავლებისა და სასწავლო რესურსების განახლებაზე მეტი ხარჯების გაწევის მიზნით.

რჩევები:

- სასურველია ხელოვნების ისტორიასთან დაკავშირებული კარიერული არჩევანის ფართო სპექტრის ხაზგასასმელად, სადოქტორო პროგრამის მიზანი ხელოვნების კრიტიკის შესახებ გაფართოვდეს და დაფაროს „კულტურის სექტორის სხვა საექსპერტო კარიერები“;
- სტუდენტების შესაძლებლობების შემდგომი გაზრდის მიზნით სასურველია დოქტორანტურის პროგრამაში ინტერნაციონალიზაციის მეტი შესაძლებლობების შეთავაზება.
- სტუდენტების პრაქტიკული და სამეცნიერო უნარების განვითარებისთვის მიზანშეწონილი იქნება სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ჩართულობით ერთობლივი კონფერენციების უფრო ხშირად ჩატარება.
- შესაძლოა უფრო ხელსაყრელი იყოს საბოლოო და შუალედურ გამოცდებზე შეფასებებს შორის განსხვავების შეტანა საბოლოო გამოცდის სასარგებლოდ.
- რადგან სტუდენტებს გააჩნიათ მეტი ექსკურსიების და სავლე გასვლების მოლოდინი, მიზანშეწონილია, რომ პროგრამებმა განიხილონ სტუდენტებთან ეს საკითხი და განახორციელოს შესაძლო ცვლილებები.
- მიზანშეწონილია, რომ აკადემიამ თავი აარიდოს ფეისბუქ ჯგუფების გამოყენებას ელექტრონული რესურსების გასაზიარებლად და შეიმუშაოს ბიბლიოთეკის მასალების გავრცელებისა და შეკვეთის უფრო მოქნილი სისტემა.
- სასურველია გარე კოლეგიალური შეფასება განხორციელდეს წინასწარ განსაზღვრული ინტერვალებით და არა მხოლოდ პროგრამის აკრედიტაციის წარდგენის წინ, რათა რჩევებისა და რეკომენდაციების არსებობის შემთხვევაში, შესაძლებელი იყოს მათი განხორციელება.

3. მესამე საკითხი: შპს თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის „ვიზუალური კომუნიკაციის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

№	ინფორმაციისაგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ვიზუალური კომუნიკაცია
2		

	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	N181, 04.12.2018
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
7	დაშვების წინაპირობები	შემოქმედებითი ტური (პორტფოლიოს განხილვა)
8	კვალიფიკაციის დონე	მეექვსე
9	კვალიფიკაციის დასახელება	ვიზუალური კომუნიკაციის ბაკალავრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0211 აუდიოვიზუალური მეთოდები და მედიაპროდუქცია/წარმოება, Audio-Visual Techniques and Media Production
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
14	განხორციელების ადგილი	კახა ბენდუქიძის კამპუსი დავით აღმაშენებლის ხეივანი N. 240 თბილისი 0159 საქართველო
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

✓ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

✓ არა

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ) აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მესამე საკითხის ზეპირი მოსმენა

ექსპერტების პოზიციის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.

უცხოელი ექსპერტი კოსტას მანტუხალოსი მიესალმა აკრედიტაციის საბჭოს წევრებს და განაცხადა, რომ ექსპერტთა ვიზიტი დაწესებულებაში განხორციელდა 2023 წლის 20 ივლისს. მისი თქმით, ხუთივე სტანდარტი შეფასდა როგორც სრულად შესაბამისი აკრედიტაციის სტანდარტის მოთხოვნებთან. გაიცა რამდენიმე რჩევა პროგრამის მიმართ, რომლის შესრულება

არ წარმოადგენს უნივერსიტეტისთვის სირთულეს. მან განაცხადა, რომ სასურველია ბიბლიოთეკის რესურსების გაზრდის მიზნით მეტი ფულის ჩადება დაწესებულების მხრიდან. გარდა ამისა, სასურველია ტრენინგ მოდულის შეთავაზება სტუდენტისთვის, რომელიც გულისხმობს ინფორმაციის ინტეგრირებას, ე.ი. როგორ უნდა გამოიყენოს მოძიებული ინფორმაცია, წიგნი და საბიბლიოთეკო რესურსი სტუდენტმა. კოსტას მანტუალოსის თქმით, საავტორო უფლებების დაცვის მიზნით გაიცა რჩევა. დაწესებულების მიერ ხდებოდა წიგნების დასკანერება ავტორის ნებართვის გარეშე, რაც ეწინააღმდეგებოდა საქართველოს შიდასახელმწიფოებრივ კანონმდებლობასა და ევროკავშირის მიერ დადგენილ რეგულაციებს. მან ხაზი გაუსვა იმას, პროგრამას უნდა დაემატოს მეტი გაცვლითი პროგრამა.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

დაწესებულების წარმომადგენელი, ვახტანგ ლეჟავა მიესალმა აკრედიტაციის საბჭოს წევრებს და მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს გაწეული შრომისთვის. მან განაცხადა, რომ ექსპერტთა მიერ გაცემული რჩევების გათვალისწინება უნივერსიტეტის დისკრეციული უფლებამოსილებაა. საავტორო უფლებებთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ ევროკავშირის კანონმდებლობა პირდაპირ არ მოქმედებს საქართველოზე. გარდა ამისა, ეს კანონი დისკრეციას უტოვებს წევრ ქვეყნებს საავტორო უფლებები დაარეგულირონ იმ ფარგლებში, რომლებიც დირექტივით არის განსაზღვრული. მან ხაზი გაუსვა იმას, რომ საქართველოს კანონმდებლობა ადგენს საბიბლიოთეკო საქმიანობაში საავტორო უფლებების გამოყენების წესს. შესაბამისად, დასაშვებია სასწავლო მიზნებისათვის წიგნის ასლი გაცემა. ამრიგად, უნივერსიტეტის ქმედება შესაბამისობაშია როგორც შიდასახელმწიფოებრივ, ისე ევროკავშირის მიერ დადგენილ კანონმდებლობასთან. ვახტანგ ლეჟავამ საბიბლიოთეკო რესურსებთან დაკავშირებით განაცხადა, რომ აღნიშნული რჩევა სცილდება პროგრამის აკრედიტაციის ფარგლებს. სასწავლო კურსების სილაბუსებით გათვალისწინებული ყველა ლიტერატურა არის ბიბლიოთეკაში. უნივერსიტეტის პოლიტიკა არ არის ის, რომ უნივერსიტეტმა მხოლოდ მეტი გაცვლითი პროგრამით თავი მოაწონოს სტუდენტს, არამედ ის, რომ სტუდენტს მიეცეს საერთაშორისო დონის განათლება, რომელიც აღიარებული იქნება ყველგან. დაწესებულების წარმომადგენელმა ირინა პოპიაშვილმა აღნიშნა, რომ უნივერსიტეტს ჰყავს უცხოელი მოწვეული ლექტორები, რომელთა მიერ ჩატარებული ლექცია უფრო ეფექტურია, ვიდრე სტუდენტის მიერ გაცვლით პროგრამით საზღვარგარეთ წასვლა. ვახტანგ ლეჟავამ განაცხადა, რომ უნივერსიტეტის ვებგვერდზე კერძოდ, ბიბლიოთეკის განყოფილებაში დაწესებულება სტუდენტს სთავაზობს ტრენინგებს.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

საბჭოს წევრმა ნინო ჭალაგანიძემ კითხვა დაუსვა ექსპერტებს. მისი თქმით, ექსპერტების მიერ შედგენილი დასკვნა კარგია, თუმცა პროგრამა დატვირთულია 4 რჩევით, რომელიც საბიბლიოთეკო ბაზებს ეხებოდა. გაუგებარია, რატომ მოითხოვენ ექსპერტები იმპერატიულად იმას, რომ გარანტირებულად უზრუნველყოფილი იყოს წვდომა იმ აკადემიურ მონაცემებზე, რომლებიც შეესაბამება და ჭირდება ფაკულტეტსა და პერსონალს. გარდა ამისა, ტრენინგ მოდულების საჭიროებას, საინფორმაციო წიგნიერებასა და მასალების წვდომას. მას აინტერესებდა, მისაღები იქნებოდა თუ არა ეს 4 რჩევა ერთ რეკომენდაციად ყოფილიყო დასკვნაში წარმოდგენილი. ექსპერტმა გიგა ხოსიტაშვილმა განაცხადა, რომ ვიზიტის განხორციელების დროს, გარდა დოკუმენტაციის შესწავლისა, ექსპერტებს ჰქონდათ საშუალება, რომ ადგილზე ენახათ ბიბლიოთეკა. ბიბლიოთეკის ნახვისა და სტუდენტებთან ინტერვიუების შემდეგ ექსპერტებმა ჩათვალეს, რომ აღნიშნული რჩევები გაცემულიყო პროგრამის მიმართ, რომლებიც რელევანტური იქნებოდა. პროგრამაზე რეკომენდაციის გაცემის საფუძველი არ არსებობდა. ნინო ჭალაგანიძის თქმით, დასკვნაში იკითხება შემდეგი: „საბიბლიოთეკო სერვისების მიერ გარანტირებულად უზრუნველყოფილი უნდა იყოს წვდომა იმ აკადემიურ

მონაცემთა ბაზებზე, რომლებიც ფაკულტეტს და პროგრამას აქვს“. მას აინტერესებდა, ჰქონდათ თუ არა საბიბლიოთეკო მონაცემთა ბაზებზე სტუდენტებს წვდომა. გიგა ხოსიტაშვილმა აღნიშნა, რომ დასკვნა შედგენილია ინგლისურ ენაზე და აღნიშნული ჩანაწერი ქართულ თარგმანთან არ მოდის შესაბამისობაში. მისი თქმით, ვიზიტის ფარგლებში შემოწმდა საბიბლიოთეკო რესურსები, რომლებიც დაწესებულებას გააჩნია და სტუდენტს წვდომა აქვს მასზე.

საბჭოს წევრმა გურანდა ჭელიძემ კითხვა დაუსვა დაწესებულებას. მისი თქმით, ექსპერტების დასკვნაში იკითხება შემდეგი: „საუბრების დროს აღინიშნა სტუდენტებისთვის ფსიქიკური ჯანმრთელობის და ფსიქოსოციალური მხარდაჭერის მიწოდების სერვისების შესახებ“. მისი თქმით, შპს თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტი არ არის იმ კონსორციუმის წევრი, რომელიც ახორციელებს „ERASMUS +“-ის ინსტიტუციურ პროექტს ფსიქოლოგიური კონსულტაციის ცენტრების გახსნის თაობაზე. მას აინტერესებდა, თუ რა გეგმა აქვს უნივერსიტეტს კონსორციუმის წევრად გახდომის. გარდა ამისა, ახდენს თუ არა უნივერსიტეტი პროგრამის დადარებას სხვა უნივერსიტეტის პროგრამებთან. დაწესებულების წარმომადგენელმა ვახტანგ ლეჟავამ განაცხადა, რომ ასეთი საკითხები არა პროგრამის აკრედიტაციის, არამედ დაწესებულების ავტორიზაციის საკითხია. მისი თქმით, საქართველოში არიან ძალიან ცოტა კვალიფიციური ფსიქოლოგები, რომელთა მომსახურება ძვირია. გარდა ამისა, ფსიქოლოგიური დახმარება არის ძალიან რისკიანი საკითხი. შესაბამისად, უნივერსიტეტი პასუხისმგებლობას ვერ აიღებს იმ შედეგზე რა შედეგიც შეიძლება გამოიწვიოს არაკვალიფიციურ ფსიქოლოგთან კონსულტაციამ. დაწესებულების წარმომადგენელმა, მარიამ ზალდასტანიშვილმა აღნიშნა, რომ უნივერსიტეტი მუდმივად ეყრდნობა და იზიარებს სხვა უნივერსიტეტის გამოცდილებას.

საბჭოს წევრმა ქეთევან ქუთათელაძემ კითხვა დაუსვა დაწესებულებას. მისი თქმით, სასწავლო კურსების სილაბუსებში, შეფასების სისტემაში იკითხება შემდეგი: „თუ სტუდენტი ვერ ახერხებს რომელიმე კომპონენტზე დასწრებას და სურს აღდგენა შეფასების ამ კომპონენტის ჩატარებამდე წინასწარ უნდა გაიაროს კონსულტაცია სტუდენტების დეკანთან“, ხოლო რამდენიმე სილაბუსში წერია შემდეგი: „წინასწარ უნდა გაიაროს კონსულტაცია სტუდენტების კოორდინატორთან“. ქეთევან ქუთათელაძემ დაწესებულებას მიმართა, რომ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით მეტი ინფორმაცია მოეწოდებინათ აკრედიტაციის საბჭოს წევრებისათვის. დაწესებულების წარმომადგენელმა ანკა თაბუკაშვილმა განაცხადა, რომ საუნივერსიტეტო ზოგადი განათლების მოდულის მიხედვით საგნის კურატორი არის სტუდენტების დეკანი. შესაბამისად, რამდენიმე სილაბუსში მისი სახელი არის მითითებული, თუმცა იმ სასწავლო საგნების შეფასების სისტემაში, სადაც სკოლის კოორდინატორი არის მითითებული, ეკუთვნის ვაცის სკოლას და მის პროგრამებს. შესაბამისად, გამოცდის აღდგენას სტუდენტი ათანხმებს ლექტორთან, თუმცა კომუნიკაცია ლექტორსა და სტუდენტს შორის ამის თაობაზე ხდება ასეთი საშუალებით.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება

დაწყების დრო: 15:25

დასრულების დრო: 15:40

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:

შპს თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის „ვიზუალური კომუნიკაციის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე - 16

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების

შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27² მუხლის პირველი პუნქტის, 27⁵ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27⁶ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ“ სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შპს თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის „ვიზუალური კომუნიკაციის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია 7 წლის ვადით.

საბჭომ განსაზღვრა შემდეგი რჩევები:
რჩევები:

- სასურველია, პირველი კურსის ზოგიერთი ლიბერალური მეცნიერებების კურსი მეტად მორგებული იყოს ჰუმანიტარულ მეცნიერებაზე;
- გააფართოვოს საერთაშორისო გაცვლითი პროგრამები, რათა დაკმაყოფილდეს სტუდენტთა სურვილი, მიიღონ მეტი გლობალური გამოცდილება.
- უზრუნველყოს ფსიქიკური ჯანმრთელობისა და ფსიქოსოციალური მხარდაჭერის სერვისები, სტუდენტების კეთილდღეობისა და აკადემიური წარმატებისთვის;
- სასურველია, უსდ-მ გაითვალისწინოს ევროკავშირის რეგულაციებში არსებული საავტორო უფლებების დაცვის პრინციპები და მოერიდოს წიგნების ან ნებისმიერი საინფორმაციო რესურსის არაავტორიზებულ სკანირებას;
- ასურველია, საბიბლიოთეკო სერვისების მიერ გარანტირებული იყოს წვდომა იმ აკადემიურ მონაცემთა ბაზებზე, რომლებიც შეესაბამება ამ ფაკულტეტს/პროგრამას;
- ექსპერტთა ჯგუფის აზრით, სასურველია, საბიბლიოთეკო სერვისების მიერ შემუშავდეს რამდენიმე ტრენინგ-მოდული ინფორმაციის მოძიებაზე, საინფორმაციო წიგნიერებაზე; ასევე აკადემიურ წყაროებსა თუ სხვა მასალებზე მუშაობაზე და ფართოდ გაეწიოს ამას პოპულარიზაცია სტუდენტებს შორის, რათა კიდევ უფრო გაუმჯობესდეს მათი უნარები საინფორმაციო წიგნიერების კუთხით;
- სასურველია, უნივერსიტეტის წლიურ ბიუჯეტში საბიბლიოთეკო ხარჯების გაზრდა, რაც შესაძლებელს გახდის საინფორმაციო რესურსების განახლებას;
- სასურველია მოხდეს აკადემიური პერსონალის ინფორმირება (წერილობითი უკუკავშირის საშუალებით) მათი შეფასების შედეგების შესახებ (როგორც დადებით, ასევე უარყოფით შემთხვევაში) და ამ პროცესის ფორმალიზება;
- სასურველია, კოლეგიალური შეფასების მიზნით, პროგრამა გადაეგზავნოს დარგის ექსპერტებს დაწესებულების გარეთ.

4. მეოთხე საკითხი: ა(ა)იპ ჯიპა - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის ვიზუალური კომუნიკაციის (რეკლამა და საკომუნიკაციო დიზაინი) საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

№	ინფორმაციისაგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ვიზუალური კომუნიკაცია (რეკლამა და საკომუნიკაციო დიზაინი)
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	
3	სტატუსი	ახალი
4		

	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
7	დაშვების წინაპირობები	შემოქმედებითი ტური
8	კვალიფიკაციის დონე	მეექვსე
9	კვალიფიკაციის დასახელება	ხელოვნების ბაკალავრი ვიზუალურ კომუნიკაციაში
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0211 - აუდიო-ვიზუალური მეთოდები და მედიაპროდუქცია/წარმოება
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	180
14	განხორციელების ადგილი	მარი ბროსეს 2, თბილისი, საქართველო, 0108
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

✓ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

✓ არა

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ) აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მეოთხე საკითხის ზეპირი მოსმენა

ექსპერტების პოზიციის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.

უცხოელი ექსპერტი კოსტას მანტზალოსი მიესალმა აკრედიტაციის საბჭოს წევრებს და განაცხადა, რომ ა(ა)იპ ჯიპა - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის ვიზუალური კომუნიკაცია (რეკლამა და საკომუნიკაციო დიზაინი) არის სამწლიანი სწავლების 180 კრედიტის მოცულობის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა. მისი თქმით, დაწესებულებაში ვიზიტი განხორციელდა მიმდინარე წლის 17 ივლისს, რომლის განმავლობაშიც ექსპერტები შეხვდნენ რექტორს, ადმინისტრაციის სხვადასხვა ერთეულს, პროგრამის ხელმძღვანელს, კურსდამთავრებულებსა და სტუდენტებს. მან აღნიშნა, რომ პირველი რეკომენდაცია ეხებოდა გარკვეული ტერმინოლოგიის დაზუსტებას. სილაბუსებში იყო აღრევა სწავლა - სწავლებისა და შეფასების მეთოდების. შესაბამისად, ისინი

ერთმანეთისგან უნდა გაიმიჯნოს. მეორე რეკომენდაცია ეხებოდა ხარისხის მექანიზმების გაუმჯობესებას და თანამშრომლობის პროცესების უკეთ წარმართვას აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

დაწესებულების წარმომადგენელი მიესალმა აკრედიტაციის საბჭოს წევრებს და მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს გაწეული შრომისთვის. მისი თქმით, უნივერსიტეტი პირველ რეკომენდაციას იზიარებს. რამდენიმე სილაბუსში იყო ტექნიკური ხარვეზი, რომელზეც მუშაობა დაწყებულია. სილაბუსებში მოცემული სწავლა - სწავლებისა და შეფასების მეთოდები ერთმანეთისაგან გაიმიჯნება. მეორე რეკომენდაციასთან დაკავშირებით განაცხადა, რომ როდესაც პროგრამაზე მოხდება სტუდენტების მიღება, ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები გაუმჯობესდება და თანამშრომლობის პროცესები უკეთ წარმართება აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

საბჭოს წევრმა ქეთევან ქუთათელაძემ კითხვა დაუსვა ექსპერტებს. მან განაცხადა, რომ მეორე რეკომენდაციაში გაერთიანებულია რამდენიმე საკითხი, კერძოდ, პროგრამის სწავლის შედეგების დადგენა, პროცესის საჯაროობა და მეტი ჩართულობა და ა.შ. მას აინტერესებდა, რამ განაპირობა რეკომენდაციების გამეორება დასკვნაში. გარდა ამისა, უმჯობესი იქნებოდა თუ არა სწავლების მეთოდების საკითხი ამოღებული ყოფილიყო მეორე რეკომენდაციიდან. ექსპერტმა მიხეილ ბიჭიამ უპასუხა, რომ ინტერვიუების დროს მსჯელობისას გამოიკვეთა პროგრამის მეოთხე შედეგთან დაკავშირებით პრობლემა, რომლის გარკვეული ნაწილი მოიაზრებდა უნარების კატეგორიაში არსებული შედეგის განსაზღვრას ცოდნა და გაცნობიერების ნაწილში. ის ჩანაწერი, რომელიც პროგრამის მე-4 შედეგში გვხვდება, აყალიბებს თანამედროვე მიდგომების საფუძველზე მულტიმედიურ შეხედულებებს. პროგრამის ხელმძღვანელმა ნინო გედევანიშვილმა დაადასტურა, რომ ეს იყო მისაღები შენიშვნა და უნივერსიტეტი გაითვალისწინებდა. მისი თქმით, მე-2 შედეგი, რომელიც მე-10 შედეგშია გათვალისწინებული ეხმიანება სამაგისტრო საფეხურის შედეგს იმიტომ, რომ მასში წარმოდგენილია წვლილის შეტანა აღნიშნულ სფეროში. იმისათვის, რომ ეს საფრთხე სამომავლოდ არიდებული იყოს, მოცემულ საკითხთან დაკავშირებით გაიცა რეკომენდაცია. მან იმედი გამოთქვა, რომ უნივერსიტეტი მე-10 შედეგსაც გაითვალისწინებს. მიხეილ ბიჭიამ სწავლების მეთოდებთან დაკავშირებით განაცხადა, რომ ექსპერტების მიერ გაიცა ორი რეკომენდაცია. მან ხაზი გაუსვა იმას, რომ ამ ორი რეკომენდაციის შესრულებას უზრუნველყოფს მონიტორინგი იმიტომ, რომ პირველი სტანდარტი მეხუთე სტანდარტთან ბმაშია. გარდა ამისა, მხოლოდ მეხუთე სტანდარტის რეკომენდაციის ნაწილი შეეხო სწავლების მეთოდს და არა სრულად. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ მეოთხე სწავლის შედეგი, რომელიც „ცოდნა გაცნობიერების ნაწილშია“ მოცემული დარგობრივ მახასიათებელს მიეკუთვნება. მისი თქმით, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ გაზიარებული სწავლის შედეგების სარეკომენდაციო სახელმძღვანელოს მიხედვით, რომელიც ეფუძნება ბლუმის ტაქსონომიას, მათ შორის ჩამოყალიბება ქართულ ენაზე მოაზრებულია ცოდნა გაცნობიერების ცნების ქვეშ. მან ხაზი გაუსვა იმას, რომ სწავლის შედეგები ცოდნაზე ორიენტირებული და კომპლექსურად აღქმადია, რომელიც არ წარმოადგენს უნარს. ექსპერტების მიერ აპელირება იმაზე, რომ პროგრამა ვერ გავა სწავლის შედეგზე არის მიუღებელი. როდესაც პროგრამაზე დაიწყება სტუდენტთა მიღების პროცედურა და სწავლა, უფრო კარგად გამოჩნდება ის დადებითი და უარყოფითი მხარეები პროგრამის, ვიდრე წინასწარი განცხადება იმაზე, რომ პროგრამა ვერ გავა სწავლის შედეგზე. პროგრამის ხელმძღვანელმა ნინო ლიპარტელიანმა განაცხადა, რომ სასწავლო კურსების სილაბუსებში გამოსწორებულია ის ტექნიკური ხარვეზები, რომლებიც ექსპერტებმა დაადგინეს. ერმილე მესხიამ კითხვა დაუსვა დაწესებულებას. მისი

თქმით, დაწესებულებას რამდენიმე უნივერსიტეტთან გაფორმებული აქვს მემორანდუმი, თუმცა მათში მითითებული არ არის სტუდენტთან რაოდენობა. მას აინტერესებდა, რატომ არ არის მემორანდუმებში გათვალისწინებული სტუდენტთა რაოდენობა. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ აღნიშნული მემორანდუმები წარმოადგენს წინა პროგრამის მემორანდუმებს. ძველი პროგრამა წლის ბოლომდე იარსებებს. შესაბამისად, ახალი პროგრამის აკრედიტაციის პროცესში რთული იყო მეორედ მსგავსი მემორანდუმების გაფორმება.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენებაა

დაწყების დრო: 16:00

დასრულების დრო: 16:14

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:

ა(ა)იპ ჯიპა - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის ვიზუალური კომუნიკაციის (რეკლამა და საკომუნიკაციო დიზაინი) საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე - 16

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27² მუხლის პირველი პუნქტის, 27⁵ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27⁶ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ“ სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, ა(ა)იპ ჯიპა - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის ვიზუალური კომუნიკაციის (რეკლამა და საკომუნიკაციო დიზაინი) საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია 7 წლის ვადით.

საბჭომ განსაზღვრა შემდეგი რეკომენდაციები და რჩევები:

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია რამდენიმე სასწავლო კურსის სილაბუსებში სწავლების ზოგიერთი მეთოდის („ცოდნის ტესტირება“) დასახელების დაზუსტება, სწავლების მეთოდების სწორად გამოყენება და მათი შეფასების მეთოდებისგან გამიჯვნა;
- რეკომენდებულია, ხარისხის კონტროლის ღონისძიებების გაძლიერება პროგრამის გარკვეული სფეროების გასაუმჯობესებლად, როგორცაა: პროგრამის ზოგიერთი სწავლის შედეგის დადგენა, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან უფრო თანამშრომლობითი პროცესების წარმართვა, სწავლების მეთოდების სათანადო გამოყენება და მათი გამოყოფა შეფასების მეთოდებისგან და ა.შ.

რჩევები:

- კარგი იქნება, თუ აუდიტორიუმში სტუდენტებისთვის შეიქმნება უფრო კრეატიული გარემო, სადაც შეძლებენ დააკვირდნენ საკუთარ ნამუშევრებს, შეხედონ საკუთარ თავს გარედან და აღმოაჩინონ საკუთარი ყოფნა გარემოში;

- პროგრამის განვითარების მიზნით, მომავალში, პროგრამის მონიტორინგისას აქცენტი უნდა გაკეთდეს შემოქმედებითი პოტენციალის და შემოქმედებითი აზროვნების განვითარებაზე;
- საჭიროა მოხდეს შემდგომი გაუმჯობესებები ფიზიკური რესურსების ხელმისაწვდომობის კუთხით, რათა სრულად ჩამოყალიბდეს ინკლუზიურობა;
- სასურველია ბიუჯეტის ამსახველი დოკუმენტი უფრო დეტალურად იყოს გაწერილი და მოიცავდეს საჭირო კვლევითი საქმიანობის ხარჯებს (სამეცნიერო გრანტები, კვლევითი პროექტები, სამეცნიერო მისიები და ა.შ.);
- სასურველია, რომ გარე შეფასების დოკუმენტები ასახავდეს პროგრამის განვითარებისაკენ მიმართულ რეკომენდაციებს.

საბჭოს სხდომა დასრულდა 2023 წლის 03 ნოემბერს 16:15 საათზე.

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების
აკრედიტაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
რატიანი რატი



საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის
საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
ბუჩაშვილი გოდერძი



უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების
აკრედიტაციის საბჭო
სხდომის თავმჯდომარე
ზედგინიძე-ჯიშკარიანი ნათია

